პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 იანვარი ოთხშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი ● № 22 (14626)

პარტიის მებრძოლი რეზერვი და თანაშემწეა სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი. მისი საქმიანობის პროგრამაა ლენინის ისტორიული სიტყვა „ახალგაზრდათა კავშირების ამოცანები“. კომკავშირის რიგებში პოლიტიკურად გამოიწრთო ახალგაზრდა კომუნისტების, სოციალიზმის მშენებლების მრავალი თაობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“.

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲡ, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“. — ეს ცხოვრება აღსავსე იყო აზრის შემოქმედებითი მუშაობითა და დაუცხრომელი რევოლუციური მოქმედებით, იდეური და პოლიტიკური ბრძოლით. ლენინმა განასახიერა პროლეტარული რევოლუციონერის უველაზე მნიშვნელოვანი თვისებები: მძლავრი გონება, ყოვლისმძლე ნებისყოფა, წმიდათა წმიდა სიძულვილი მონობისა და ჩაგვრისადმი, რევოლუციური-მგზნებარე, თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმი, უსაზღვრო რწმენა მასების შემოქმედებითი ძალებისადმი, უდიდესი ორგანიზატორული გენია. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა შერწყმული იყო მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ბრძოლასთან.

და, მართლაც, ხალხთა რევოლუციური ცხოვრება და კომუნისტური მშენებლობის ცხოველი პრაქტიკა ყოველდღიურად ადასტურებს უკვდავი ლენინის სიდიადეს, მისი იდეების ცხოველმყოფელობას. ამ დებულების სისწორეს ერთხელ კიდევ ნათელყოფს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, რომელიც ახალი თეორიული და პოლიტიკური დოკუმენტია. იგი ფრიად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში, ხელს შეუწყობს მათს დარაზმვას ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, ახლა მთელი იდეოლოგიური მუშაობის არსენალი გამოყენებულ უნდა იქნას ამ უდიდესი პოლიტიკური დოკუმენტის ღრმად შესწავლისა და განმარტებისათვის.

სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა საქართველოს იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი, რომელიც ამსაწინათ გაიმართა თბილისში. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებისა და იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების ამოცანებზე რომ მსჯელობდა, რეხუბლიკის იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირმა გამოიტანა მრავლისმეტყველი დასკვნა: ᲘᲚᲘᲩᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲕᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲔᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ.

ეს იმას ნიშნავს, როგორც ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, რომ კომუნისტებს, თვითეულ მშრომელ ადამიანს არა აქვს იმაზე ძვირფასი სახელი, ვიდრე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელია; არა აქვს იმაზე უფრო მახლობელი სახე, ვიდრე ლენინის სახეა; არა აქვს იმაზე უფრო მაღალი იდეალები, ვიდრე ლენინის იდეალებია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ იმას, რომ იდეოლოგიური მუშაობის დონე შეესაბამებოდეს დიდი ლენინის იუბილეს მნიშვნელობას, ლენინის იდეებისა და მისი უდიდესი თეორიული მემკვიდრეობის სიღრმეს, რომლებსაც ეპოპაგანდას ვუწევთ.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებით შეიარაღებულნი, ფართო იდეურ-აღმზრდელობითს და პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან თეზისების საფუძვლიანი და სისტემატური განმარტებისათვის. ისინი ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ამაღლებენ ორგანიზატორულ მუშაობას იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოში ამუამად თეზისების, პროპაგანდას ეწევა 90 ათასამდე აგიტატორი და პოლიტინფორმატორი. მასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობას განსაკუთრებით სულ უფრო აძლიერებენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის საოლქო, თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, გორის საქალაქო, სიღნაღის, თელავის, ხაშურის, ბორჯომის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ცხაკაიას და სხვა რაიონული პარტიული ორგანიზაციები.

გარდა ამისა ეწყობა ლენინური კითხვები აქტივისათვის, ლენინის უმნიშვნელოვანეს ნაშრომებს წარმატებით სწავლობენ 26 სახალხო ლენინურ უნივერსიტეტში. თეზისების შესწავლას შეუდგნენ პარტიული განათლების მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებშიც. მარტო მომხსენებელთა და ლექტორთა ჯგუფების ძალებით წაკითხულია ათასობით ლექცია, მოხსენება, ლენინის საიუბილეო წლისთავისათვის მზადების პერიოდში საზოგადოება „ცოდნის“ ძალებით მშრომელებმა უკვე მოისმინეს ლენინის თემატიკისადმი მიძღვნილი ათასობით ლექცია.

იყო პროპაგანდისტი, იყო აგიტატორი, იყო კომუნისტური იდეების გამავრცელებელი — ეს დიდი პატივია, ფრიად პასუხსაგები საქმეა. ამასთანავე იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირზე მართებულად აღინიშნა, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია, როცა ზრუნავს ლექციების რიცხვის გადიდებისათვის, საჭირო მომთხოვნელობას ვერ იჩენს მათი ხარისხისადმი. ზოგჯერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდა წარმოებს ისე, რომ ჯეროვნად არ ითვალისწინებენ მსმენელთა მოთხოვნილებებს, მოწყვეტილია კოლექტივების საჭირბოროტო ამოცანებს, ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმისა და კამპანიურობის ელემენტები. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სასოფლო კლუბისა და ბიბლიოთეკის საქმიანობა არ შეესაბამება მზარდ მოთხოვნებს: საზოგადოება „ცოდნა“ აწყობს სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციებს, თემატურ საღამოებს და სხვა მასობრივ ღონისძიებებს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის უპირატესად მხოლოდ ქალაქებსა და მსხვილ რაიონულ ცენტრებში; ზოგან არის ტენდენცია საიუბილეოდ გაასაღონ უფერული ღონისძიებანი.

ასეთი არასწორი ტენდენციის აღკვეთა პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი საქმეა, მით უმეტეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ სერიოზულობას ანიჭებს ყოველივე იმის პროპაგანდის სწორად დაყენებას, რაც ლენინის სახელთან არის დაკავშირებული. აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს პრიმიტივიზმსა და პროფანაციას.

ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა ვამხილოთ იდეური მტერები, ლენინიზმის ფალსიფიკატორები და ცილისმწამებლები, ყველას უნდა ვუჩვენოთ ის ისტორიული ბეშმარიტება, რომ ჩვენს ეპოქაში, ლენინის საუკუნეში ლენინიზმი არ არის უმარქსიზმოდ და არც სოციალიზმია ულენინიზმოდ. თუ ზმენები მთელი სიცხადით არის აღნიშნული ახალი საზოგადოების მშენებლობისადმი ლენინური მიდგომის რეალიზმი. ლენინურ მემკვიდრეობას რომ სწავლობს და ლენინის მითითებით ხელმძღვანელობს, იდეოლოგიური ფრონტის თვითეული მუშაკი ღრმად და საფუძვლიანად უნდა აშუქებდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს, ასახუთებდეს კომუნისტური მშენებლობის რეალობას, უდავო და მნიშვნელოვან წარმატებებს, ამავე დროს ეხებოდეს ნაკლოვანებებს, გადაუწყვეტელ პრობლემებს, არსებულ სიძნელეებს.

რატომ არის ეს საჭირო? იმიტომ, რომ, როგორც ეს იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირზე ითქვა, ჩვენნი ჯერ კიდევ ჯიანურ ადამიანები, რომლებიც შეუპყრია მომხვეჭველობის წყურვილს, და ხელმრუდენი, რომლებიც ხშირად ხარგებლობენ ცხოვრების სიკეთით ხალხის ხარჯზე. ვ. ი. ლენინი ასეთ ადამიანებს ხალხისადმი ნაზოგადოების უბოროტეს მტრებს უწოდებდა. ამიტომ საჭიროა კიდევ უფრო თანმიმდევრულად და მტკიცედ ვიბრძოლოთ ჭარიელბურჟუაზიული შეხედულებების, ზნეჩვეულებებისა და ტრადიციების წინააღმდეგ, რომელთა სიცოცხლისუნარიანობაზე იმედს ამყარებენ კომუნიზმის მტრები. უაღრესად საჭიროა იხე გავუწიოთ პროპაგანდა ლენინურ მემკვიდრეობასა და ლენინის დიადს სახეს, რომ თვითეული ადამიანი ნამდვილად ამოწმებდეს თავის ცხოვრებას ლენინის მიხედვით, თავისუფლდებოდეს ყოველივე იმისაგან, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას. ზედმიწევნით ვიცნობდეთ ლენინს როგორც ადამიანს და ამით გავხდეთ უკეთესნი — დიდსა და პატარა საქმეში სხვებისა და საკუთარი თავის მიმართ, ვსწავლობდეთ ლენინისაგან შეურიგებლობას უპატიოსნობისადმი, სიყალბისა და პირფერობისადმი, ბიუროკრატიზმისა და კარიერიზმისადმი, პირმოთნეობისა და ბლეწვნელობისადმი. სწორედ ასეთი მიდგომა უნდა შეადგენდეს ძირითად შიმართულებას ჩვენს იდეოლოგიურ, აღმზრდელობითს მუშაობაში, მათ შორის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდაშიც.

რაც დრო გადის, სულ უფრო გვიახლოვდება 22 აპრილი — ვ. ი. ლენინის დაბადების დღე, საიუბილეო წელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები მასებს შთააგონებენ ლენინის უკვდავ იდეებს. ამ იდეების პროპაგანდა, ლენინური მემკვიდრეობის შესწავლა, ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის მთავარი ამოცანაა. და მართლაც, „ლენინის ნათელი გენია გვინათებს რევოლუციური ბრძოლისა და შემოქმედებითი შემეცნების გზას“.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ, ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲗ...

საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კონფერენციაზე

თბილისის რაიონგზელთა სახლი სავსეა ახალგაზრდეზით, აქ მოვიდნენ ისინი თავიანთ ფორუმზე — საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის 37-ე კონფერენციაზე და თან მოიტანეს მისწრაფება — ამრავლონ წარმატებანი, კიდევ უკეთესი და სისხლსავსე გახადონ კომკავშირული ცხოვრება.

დარბაზში არიან დედაქალაქის საწარო - დაწესებულებების, მშენებლობის და ტრანსპორტის, უმაღლესი სასწავლებლების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჭაღარით დამშვენებული ძველი კომკავშირელები. შეკრებილთა ბევრი რამ აქვთ საამაყო, მათ შორის ხომ არიან ისინი, რომლებსაც მეტროს გვირაბები გაკაფავთ, დაზგებთან დგანან და მაღალხარისხოვან სამრეწველო პროდუქციას უშვებენ, სამეცნიერო ლაბორატორიებში ახალ მეცნიერულ თემებზე მუშაობენ...

განვლილ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენებით გაკოვიდა საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. გაბუნია.**

— ჩვენი კონფერენცია, — ამბობს მომხსენებელი, — დაემთხვა ლენინური იუბილესათვის მზადების დღეებს. ამ საპატიოსნო ჩვენს ახალგაზრდეზში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ბევრმა მათგანმა სასახელო ფურცელი ჩასწერა კომკავშირის საქმიანობის ისტორიაში.

საანგარიშო პერიოდში თბილისის კომკავშირის მუშაობის ორიენტირი იყო სკკპ XXIII ყრილობისა და საკავშირო კომკავშირის XV ყრილობის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — საკავშირო ალკკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის.

დიდი შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობა გამოიწვია კომკავშირელების ლენინურ ჩათვლაში მონაწილეობამ, აგრეთვე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებულმა „ლენინურმა ორწლეულმა“. აქ ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა თავიანთი მუშაობის ქვაკუთხედად გაიხადეს იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, შრომითი მაჩვენებლების გაზრდა, კომკავშირული ორგანიზაციების გაკაქტიურება. თბილისის კომკავშირელები და ახალგაზრდობა სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ შრომის დისციპლინის ამაღლებას, სოფლის რაიონებთან კავშირის განმტკიცებას, საშეფო მუშაობის გაუმჯობესებას. ამჟამად ქალაქში მოქმედებს 400 კომკავშირული პოლიტწრე. და ათასი საკოსნულტაციო ჯგუფი, რომლებიც სწავლობენ ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

პრაქტიკაში დამკვიდრდა ბლეწუმებზე მსჯველი კომკავშირული ორგანიზაციების ანგარიშების მოსმენა. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში მსჯელობის საგანი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, ქარხანა „ელექტროავტომატის“, ფაბრიკა „ცრწნისის“ და სხვა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა.

საანგარიშო პერიოდში გაფართოვდა შემოქმედებითი კავშირებთან ურთიერთობის ფორმები: ჩატარდა ახალგაზრდების ფესტივალი, ახალგაზრდა შემსრულებელთა კონკურსი. ტრადიციული გახდა ახალგაზრდა პოეტების, მწერლების, მხატვრების შემოქმედებითი ანგარიშების მოსმენა მუშათა კოლექტივებთან.

როგორც ცნობილია, თბილისის მრეწველობამ წარმატებით შეასრულა გასული წლის გეგმა. ამ მიღწევებში ციტა წვლილი როდი შეიტანეს კომკავშირელებმა, ახალგაზრდა სპეციალისტებმა. ათასობით ახალგაზრდა მშრომელი გადაჭარბებით ასრულებს სწავლა-შრომა გეგმებს. 4500 ჭაბუკმა და ქალიშვილმა მოიპოვა კომუნისტური დამკვრელის სახელი. კომკავშირული ორგანიზაციები გახდნენ ახალგაზრდა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების ინიციატორები.

სერიოზული ყურადღება ექცევა ახალგაზრდა ტექნიკური ინტელიგენციის მომზადებას. ქალაქში მოქმედებს 370 ახალგაზრდა მუშებისა და მეცნიერთა საბჭო.

კონფერენციაზე სხა-ბასი გაიმართა ავრეთვე ახალგაზრდების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მათი სამუშაოზე მიღებისა და გათავისუფლების, სოფლად სპეციალისტების გაგზავნის, სასწავლო-აღმზრდელობითი, კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და დახმარების, კადრების მომზადების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ბევრ სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

კამათის მონაწილენი — **ნ. ხვანშიშვილი** (კომკავშირის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი), **გ. წულაია** (ქარხანა „ელექტროავტომატის“ მუშა), **ლ. ბუაძე** (39-ე საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი), **ე. შარტავა** (კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი), **მ. ჩიხლაძე** (პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე), **თ. ეგაძე** (თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე), **ჯ. ჩარკვიანი** (ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი), **რ. მეტრეველი**, (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), **ო. გოგიაშვილი** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი) და სხვები შეეხნენ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის, შრომისა და ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხებს. მათ მიღწეულთან ერთად აღნიშნეს ნაკლოვანებანი, და მოუთითეს მათი გამოსწორების უსწრაფეს გზებზე.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ლილაშვილი.**

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, აირჩია თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა და საქართველოს ალკკ XXVIII ყრილობის დელეგატები.

• • •

გაიმართა ახლადარჩეული კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია **გ. გაბუნია**, მეორე მდივნად — **ვ. ალავიძე**, მდივნად — **ნ. ჩიხორია.**

ᲔᲗᲔᲠ ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ.

სურათზე: კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის XXXVII საქალაქო კონფერენციის დელეგატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) პირველ რიგში — კოსმეტიკურ-საპარფიუმერიო ფაბრიკა „ივერიის“ კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლ. ნადარეიშვილი, საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ კომკავშირის კომიტეტის მდივანი ბ. მირცხულავა, № 1 თამბაქოს ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლ. ბრიბორიანი, საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ მოწინავე მუშა ჯ. ხაჭომია; მეორე რიგში — მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ო. ჯიქიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ლ. კილასონია, მთავართბილისმშენის უფროსი ინჟინერი ბ. კოტრიძე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კონსტრუქტორი ი. კაპსაძე, სერჟანტი ა. კორნეევი.

ფოტო ს. კილაძისა.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲘᲓᲔᲘᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

27 იანვარს მოსკოვში გაიხსნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო სოციალისტური სისტემა ლენინიზმის იდეების განსახიერებაა“.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. მ. რუმიანცევმა.

მოხსენება „ლენინური პრინციპები ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობაში“ გააკეთა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მდივანმა ნ. ვ. ფადეევმა. (საკდესი).

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

26 იანვარს პ. ნ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში მოსკოვის შრომელთა წარმომადგენლები შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების დელეგაციას.

შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ დელეგაციის წევრებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების დადგენილება — საკავშირო ალკკ 50 წლისთავისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის.

დიდი შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობა გამოიწვია კომკავშირელების ლენინურ ჩათვლაში მონაწილეობამ, აგრეთვე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცხადებულმა „ლენინურმა ორწლეულმა“. აქ ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა თავიანთი მუშაობის ქვაკუთხედად გაიხადეს იდეურ-პოლიტიკური ამაღლება, შრომითი მაჩვენებლების გაზრდა, კომკავშირული ორგანიზაციების გაკაქტიურება. თბილისის კომკავშირელები და ახალგაზრდობა სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ შრომის დისციპლინის ამაღლებას, სოფლის რაიონებთან კავშირის განმტკიცებას, საშეფო მუშაობის გაუმჯობესებას. ამჟამად ქალაქში მოქმედებს 400 კომკავშირული პოლიტწრე. და ათასი საკოსნულტაციო ჯგუფი, რომლებიც სწავლობენ ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ბრეზნევმა, ალექსეევმა, ბელეტინოვმა, ბოგომოლოვმა, ბოიკოვმა, ბოლდინმა, ბოლეხოვმა, ბორისოვმა, ბუტენკოვმა, ბუტენინმა, ბუტენინა, ბუტენინა, ბუტენინ

პარტიულ ორგანიზაციებში

იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირებზე

□ ცხინვალი. („კომუნისტის“ კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის და ოლქის იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირს, რომელიც ამ დღეებში სოლქო აღმასკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ სახხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჯუსოევმა. მოხსენებით გამოვიდა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი პ. თედეევი.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: საქართველოს კპ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი თ. ცხოვრებოვა, ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. კახნიაშვილი, პარტიის ზნაურის რაიკომის განყოფილების გამგე მ. ზასეევი, ლენინგორის რაიგაზეთის რედაქტორი ე. ხოცუაშვილი, კომკავშირის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. კოტოევი, კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიის ისტორიის კათედრის გამგე ბ. ყულუმბეგოვი.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს თეზისების პროპაგანდისა და იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების საკითხებზე, ილაპარაკეს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ახლა სამხრეთ ოსეთში ხორციელდება დიდი ლენინის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

□ ქუთაისი. (საკ. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის საიუბილეო თეზისების ღრმა განმარტებას, ლენინური იდეური მემკვიდრეობის შესწავლას მიეძღვნა იდეოლოგიურ მუშაკთა საქალაქო თათბირი, რომელიც ამ დღეებში ქუთაისის საოპერო თეატრში გაიმართა.

მოხსენებით — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის და იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები“ — გამოვიდა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი თ. ვარდანაშვილი.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: საკოსმეურო ქარხნის პარტბიუროს მდივანი ა. სამხარაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი დ. კვიცარიძე, საზოგადოება „ცოდნის“ ქუთაისის ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ს. ფხაკაძე, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორის მოადგილე ს. მაღლაფერიძე, პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე, პროფესორი გ. ჩხეიძე, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი მ. ფაჩუაშვილი, საავტომობილო ქარხნის შემკეთებელ-მექანიკური საამქროს პარტორგანიზაციასთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის პროპაგანდისტი ს. მურღულია.

ახლადარჩეული ძლევნების დასახმარებლად

ზუგდიდი. (საკ. კორ). პარტიის ზუგდიდის რაიკომმა მოაწყო ახალარჩეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთდღიანი სემინარი.

სემინარზე ჩოსმენილ იქნა მოხსენებები: — რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების საქმეში; პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დაგეგმვა, პარტიული კრებების და ბიუროს სხდომების მომზადება და ჩატარება, მიღებული დადგენილების შესრულების ორგანიზაცია; დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების საქმეში პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ; პარტიული მუშაობა უპარტიო აქტივთან, სკკპ რიგებში მისაღებთა შერჩევა, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა; პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი; კომუნისტების აღრიცხვა და პარტიული დოკუმენტების შენახვა.

სასარგებლო შეხვედრა

ამას წინათ პარტიის საგარეჯოს რაიკომის მუშაკები გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და მხარის გაცნობის მიზნით სტუმრად ვეწვიეთ ყვარლის რაიონს. ყვარლელი კოლეგები გულთბილად შეგვხვდნენ. მათ გაგვაცნეს პარტიის რაიკომის აპარატის საქმიანობა, ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე, გავეცანით ყვარლის რაიონის მშრომელთა მიღწევებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, დავთვალიერეთ რაიონის ცალკეული ობიექტები.

ორი რაიონის პარტიის რაიკომების აპარატის მუშაკთა შეხვედრამ უაღრესად საინტერესოდ ჩაიარა.

მ. ტაველიშვილი,
საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე.

მსხელობენ კადრების პლზრდაზე

გეგეჭკორი. (საკ. კორ.) ამას წინათ პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი — კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეში რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ჩხოლარია.

პლენუმზე აღინიშნა, რომ გაუმჯობესდა კადრების შერჩევის საქმე. რაიონში ახლა ბევრი ნიჭიერი, გამოცდილი მუშაკია. მაგრამ არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. აბედათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ცეკვავა ზხილებულ იქნა სიყალბეში. კიწიის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში უსაფუძვლოდ გათავისუფლეს სამუშაოდან კომუნისტი ბრიგადირი ვ. წიფურია. სატყეო მეურნეობის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობენ ახალგაზრდა კადრებთან.

„საქართველოს კომუნისტი“ № 1

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მიმდინარე წლის პირველი ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“.

ნომერში დაბეჭდილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ვ. პ. მეჟავნაძის** სტატია — პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ, გამოქვეყნებულია აგრეთვე წერილები: ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა — ახალი ამოცანების დონეზე; **ი. გურგენიძე** — შრომის მიხედვით განაწილება სოციალიზმის ეკონომიური კანონია; **ა. ნოწკოლაური** — საქართველოს კომპარტია დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში. კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

განყოფილებაში „**საპრობლემო თეორიული სემინარები**“ დაბეჭდილია **გ. შახნაზაროვის** წერილი — დემოკრატია ბურჟუაზიული და დემოკრატია სოციალისტური.

„**ჟურნალების და გაზეთების მიმოხილვის**“ განყოფილებაში გამოქვეყნებულია წერილი — საიუბილეო მზადება — გაზეთის შთამაგონებელი თემა.

,,ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ № 1

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „**საქართველოს კომუნისტის**“ მიმდინარე წლის პირველი ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები „**ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის**“.

ნომერში დაბეჭდილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ვ. პ. მეჟავნაძის** სტატია — პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ, გამოქვეყნებულია აგრეთვე წერილები: ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა — ახალი ამოცანების დონეზე; **ი. გურგენიძე** — შრომის მიხედვით განაწილება სოციალიზმის ეკონომიური კანონია; **ა. ნოწკოლაური** — საქართველოს კომპარტია დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში. კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

განყოფილებაში „**საპრობლემო თეორიული სემინარები**“ დაბეჭდილია **გ. შახნაზაროვის** წერილი — დემოკრატია ბურჟუაზიული და დემოკრატია სოციალისტური.

„**ჟურნალების და გაზეთების მიმოხილვის**“ განყოფილებაში გამოქვეყნებულია წერილი — საიუბილეო მზადება — გაზეთის შთამაგონებელი თემა.

მკითხველები გვაცყობინებენ, გვთავაზობენ

წერილი არ დაგეჭდილა, მაგრამ...

დამნაშავენი დასასჯნენ

რედაქციას ატყობინებს საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრი ს. ლორთქიფანიძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

რედაქციას ატყობინებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების დირექციის მმართველის მოადგილე პ. სახეჩიძე.

საჩხერის საყალიბე ქვიშების მთავარი სამმართველოდან რედაქციას სწერდნენ: 1969 წლის ივლისიდან გვიჭირს მუშობა, ვერ ვასრულებთ პროდუქციის რეალიზაციის დაკალებას, რომელიც ახალი ეკონომიური რეფორმის დროს მთავარ ეკონომიურ მაჩვენებელს წარმოადგენს. ამაში ბრალი მიუძღვის ჩვენი პროდუქციის ერთ-ერთ მომხმარებელს — საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აკამეთის სილიკატური აგურის ქარხანას. აღნიშნულ საწარმოს ჩვენ მიერ გაგზავნილი ნედლეულის ღირებულება — 80 ათასი მანეთი დღემდე არ გადაუხდია. ქარხნის ხელმძღვანელობას რამდენჯერე შევახსენეთ გადასახადი ვალი, მაგრამ ჩვენი მოთხოვნა ყურად არ იღეს.

მუშაობაში ხელს გვიშლის აგრეთვე რკინიგზის ვაგონების ნაკლებობა. შარშან მესამე და მეოთხე კვარტალში დაგვაკლეს 250 ვაგონი. ცხადია, ამის გამო მომხმარებელს პროდუქცია დროზე ვერ გაუგზავნეთ, რასაც ისინი სამართლიანად გვისაყვედურებენ.

ეს წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროს. მინისტრმა ს. ლორთქიფანიძემ რედაქციას აცნობა:

წერილში აღნიშნული ფაქტი, რომ აკამეთის სილიკატური აგურის ქარხანას დიდი ვალი აქვს საჩხერის საყალიბე ქვიშების მთავარი სამმართველოსი, სინამდვილეს შეეფერება. საწარმო სისტემატურად გეგმებს ვერ ასრულებს, აქვს მძიმე ფინანსური მდგომარეობა, ეს კი გამოწვეულია იმით, რომ, მიუხედავად სამინისტროს არაერთი მითითებისა, საწარმო პროდუქციას უგზავნიდა ისეთ ორგანიზაციებს, რომლებსაც არ შეეძლოთ ანგარიშების განაღდება.

სამინისტროს კოლეგიამ განიხილა აკამეთის სილიკატური აგურის საწარმოს საკითხი. მუშაობაში დაშვებული შეცდომებისათვის ქარხნის დირექტორი ვ. ოსმანია გაათავისუფლა თანამდებობიდან, ხოლო მთავარ ინჟინერს დ. გვენეტაძეს გაგოუცხადა სასტიკი საყვედური, და დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, მიუხედავად ჩვენი არაერთი მიმართვისა, საჩხერის საყალიბე ქვიშების მთავარ სამმართველოს საჭირო რაოდენობით არ მიაწოდა ვაგონები.

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 8 იანვრის ნომერში დაბეჭდა სპეციალური კორესპონდენტის **შ. ჭოჭუას** კრიტიკული წერილი, სათაურით, — „სიტყვა სხვაა, საქმე — სხვა“. მასში მხილებული იყო მარნეულის რაიონის მარნეულის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის კ. ჯაშის ცუდი მუშაობა, მისი უუნარო ხელმძღვანელობა.

გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებულ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველის მოადგილე **პ. სახეჩიძე** გვატყობინებს, რომ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში მოყვანილი ფაქტები სავსებით სწორია.

საბჭოთა მეურნეობის მუშაობაში წლების მანძილზე მოუგვარებელი იყო შრომა, მთლიანად ჩაშლილი იყო შრომის დისციპლინა. ამის გამო 1968 სამეურნეო წელში საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს 376.625 მანეთი ზარალი მისცა. ეს მაშინ, როცა საწარმოო-საფინანსო გეგმა 51.700 მანეთ მოგებას ითვალისწინებდა.

სამწუხაროდ, მდგომარეობა არც 1969 წელს გამოსწორებულა. საბჭოთა მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის თითქმის არცერთ სახეში არ შეუსრულებია წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. ამიტომ, ბუნებრივია, გასული წლის შედეგების მიხედვით წინასწარი გაანგარიშებით ზარალი მოსალოდნელია დაახლოებით 274 ათასი მანეთი. და ეს მაშინ, როცა გეგმა 101 ათასი მანეთის მოგებას ითვალისწინებდა.

ტრესტის ხელმძღვანელობამ პარტიის მარნეულის რაიკომთან ერთად იმსჯელა მარნეულის საბჭოთა მეურნეობის მდგომარეობაზე, საკუთარ სწორად მიიჩნია გაზეთის კრიტიკა და მეურნეობის დირექტორი **კ. ჯაში გაათავისუფლა დირექტორის მოვალეობისაგან.**

ამასთან ტრესტის ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა მეურნეობის მთავარი ბუღალტრის **ა. თამაშაძის** და მთავარი სპეციალისტების სამუშაოზე შემდგომი დატოვების საკითხი გადაწყვიტოს ამ მეურნეობის 1969 წლის ბალანსის განხილვის დროს.

ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ

რატომ განიცდიან მშენებლები მოსაკირკეთებელი ქვის ნაკლებობას?

საქართველო მდიდარია მოსაპირკეთებელი ქვის საბადოებით. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები, მათ შორის ჩვენც, თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლები, ხშირად ვფიქრდებით აღნიშნული მასალის უქონლობის გამო. ამასთან ყოველგვარ არჩევანს მოკლებული ვართ, რადგან არ ხდება მოსაპირკეთებელი ქვის სხვადასხვა ასორტიმენტით დამზადება.

ალბათ ყველა დაგვეთანხმება,— ფრიად არასასურველი სანახაო იქნებოდა, ერთი და იმავე მასალით ყველა მიწისქვეშა სადგური რომ მოგვეპირკეთებინა. მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, ამ საქმის მოგვარებაში დიდ დახმარებას გვიწევენენ მოსკოველი კოლეგები, სხვადასხვა სახის მასალებს გვაწვდიდა მოსკოვის მეტროპოლიტენის ქვის დამამუშავებელი ქარხანა. მაგრამ მიმდინარე წლიდან აღნიშნულ ქარხანას საკუთარ სამუშაოთა მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით მასალის მოწოდება უკვე არ შეუძლია. ამიტომ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ ჩვენი არქიტექტორები, ისე მშენებლები, რადგან მარტო ტრესტ „საქმარმარილოს“ პროდუქციის შეზღუდული ასორტიმენტი ვერაფითარ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს მშენებარე მიწისქვეშა სადგურებს.

ვფიქრობთ, დროა საკითხი მოსაპირკეთებელი პროდუქციის მრავალფეროვანი ასორტიმენტის შექმნის შესახებ. მთელი სისრულით დადგეს სამშენებლო მასალების სამინისტროსა და ტრესტ „საქმარმარილოს“ ხელმძღვანელობის წინაშე. საჭიროა საექსპლოატაციოდ გადავცეთ საბადოები, რომელთა მარაგი უკვე დამტკიცებულია.

ასეთი მდიდარი შესაძლებლობა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას საბადოთა მრავალფეროვნების მხრივ აქვს, უფლებას არ გვაძლევს ჩვენთვის საჭირო მასალები სხვადასხვა რესპუბლიკაში ვეძებოთ. გავიხსენოთ ამ საბადოთა გრძელი სია: სადახლო, მოლითი, სალიეთი, შროშა, ბოლნისი, სვანეთი, ლოპოტა, მატანი, თივი, ჩოლური, გელათი, ბანოჯა, გოდოგანი და სხვ. ამათგან მხოლოდ სადახლოს, მოლითის, თივის და ბოლნისის ტუფი მუშავდება. აქედან ამზადებენ მხოლოდ მუქი ფერის მასალებს და, ცხადია, მუქი ფერის მასალების გამოყენება მიწისქვეშა სადგურების მოსაპირკეთებლად არ გამოდგება.

სვანეთის, ლოპოტის, მატნის, ჩოლურის, გელათის, ბანოჯის და გოდოგნის მარმარილოს საბადოთა დამუშავებას ტრესტი „საქმარმარილო“ დღეისათვის რატომღაც არ აწარმოებს. ამ პროდუქციის გამოყენება კი ფართოდ შეიძლება. ასეთივე მდგომარეობაა გრანიტის საბადოთა დამუშავების საქმეშიც. დილიკაურის (გაბროტი), წიფის (ყვარელიანი დიორიტი), ჯორკვალის (გრანიტი), კურსების, ტეშენიტის, სალესაოს, ოხომირა-კოკის და. რიკოთის საბადოებიდან მხოლოდ სამიოდე საბადო მუშავდება, დანარჩენი კი გამოუყენებელია.

სამწუხაროა, რომ ამ ფართო შესაძლებლობის მხოლოდ 20-30 პროცენტს ვიყენებთ, მაშინ როცა მათი ათვისება დაკმაყოფილებდა არა მარტო ჩვენს მოთხოვნილებას, არამედ შეგძლებდით ჩვენი მარმარილო და გრანიტი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გაგეგზავნა. ცხადია, ამ საქმის დაძლევაში საშენ მასალათა სამინისტროს და ტრესტ „საქმარმარილოს“ წინაშე გარკვეული სიძნელეები დგას, რადგან საბადოს დამუშავებისათვის მარტო მარაგის დამტკიცება არ არის საკმარისი. საჭიროა მომზადდეს თვითეული საბადოს დამუშავების შესაბამისი პროექტი, საბადოს საექსპლოატაციოდ მომზადებისათვის დამტკიცდეს გარკვეული კაპიტალური დაბანდებანი, შეძენილ იქნას სათანადო დაზგები და დანადგარები, რომ ნედლეული ქარხნებში დამუშავდეს.

ზემოთ ჩამოთვლილ საბადოებიდან მინიმალური კაპიტალური დაბანდებებით საექსპლოატაციოდ შედარებით მოკლე დროში შეიძლება გადავცეთ მატნის, გელათის და ბანოჯის საბადოები. ეს დიდ სამსახურს გაუწევდა არქიტექტორებს და მშენებლებს, რომლებიც ამჟამად გაჭირვებას განიცდიან და თავს იტეხენ, თუ რით მოაპირკეთონ თბილისის მეტროპოლიტენის ახალი ხაზების მიწისქვეშა და ზედა ვესტიბიულები.

ნ. ჩაჩხიანი.
თბილგვირაბმშენის სამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილე.

დოლი დაიწყო

ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ დაიწყო დოლი. აქ 3.200 სული ცხვარია, მათ შორის 1.850 ნერბი. კოლმეურნეობაში ერთ-ერთი საუკეთესო მეცხვარეა ა. დაშტამიროვი. მისი პირობაა თვითეულ ას ნერბზე მიღებულ ბატკნიდან შეინარჩუნოს 98 ბატკანი.

* * *

სურათებზე: ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მეცხვარე ა. დაშტამიროვი; ფახრალელი მეცხვარეების მიერ მიღებული ნამატი.

ფოტო ი. დავითაშვილისა და ს. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

თეთრი ქარავანი

საყოფაცხოვრებო თემაზე

ჩამწარებული სიცარული

წერილი კომენტარებით

პატივცემულო რედაქციავ! ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ახალი, კეთილმოწყობილი ბინის მიღების სიხარულს ვერაფერი შეედრება. შარშან დეკემბერში ეს ბედნიერება წილად ჩვენც გვხვდა. მესამე სართულზე, ვარკეთილის ზემო პლატოზე პირველ კორპუსში მივიღეთ ბინები. მაგრამ უხეირო მშენებლების წყალობით ეს დიდი სიხარული ჩაგვიმწარდა.

ოვენახევარზე მეტია, რაც წყალი ოშვიათი სტუმარივით მოდის, გაზი ჩართული არ არის, არა გვაქვს გათბობა, ელექტროგაყვანილობის უწესივრობის გამო ხშირად სიბნელეში ვსხედვართ. ჩვენი კორპუსი მთავარ ქუჩას საკმაო მანძილით არის დაშორებული. ეს გზა სრულიად მოუწყობელია, ავდარში ფეხით მოსიარულეს კი არა, მანქანასაც უჭირს გასვლა. ახლო სასურსათო მაღაზია არ არის, პირველი მოთხოვნილების პროდუქტების შესაძენად შორს გვიხდება სიარული.

უგზოობის გამო ჩვენს კორპუსამდე ავტობუსი არ დადის.

ეს მდგომარეობა ვის არ ვაცნობეთ, მაგრამ დღემდე ყურადღება არ მოგვაქციეს.

გთხოვთ, ადგილზე გამოგზავნოთ თქვენი მუშაკი, ნახოთ ჩვენი გაჭირვება, დაგვეხმარეთ შეგვიქმნან ცხოვრების ნორმალური პირობები.

პირველი კორპუსის მობინადრეთა დავალებით: ლ. შავგულიძე, რ. ნიკოლაიშვილი, ბ. ბურბენიძე, ი. ხაბეიშვილი, ხ. კუპრაძე.

□ □

ᲛᲝᲑᲘᲜᲐᲓᲠᲔᲗᲐ საჩივარი მეტად საჭირბოროტო საკითხებს ეხება. ადგილზე გავემგზავრეთ. იმ დღეს წვიმდა. როგორც იქნა კითხვა-კითხვით მესამე მასივში ვარკეთილის ზემო პლატოს მივადექით. მოასფალტებული გზის მარცხნივ მრავალსართულიანი კორპუსები გამოჩნდა. მძღოლს ვთხოვეთ ახლო მივსულიყავით. მან უარი გვითხრა და თან დაგვიყოლა: შანდ მსუბუქ მანქანას კი არა, ტრაქტორსაც გაუჭირდება გავლაო.

მძღოლის უარი სამართლიანი იყო. გზაზე გაუვალი ტალახი იდგა, ორმოები წყლით იყო სავსე. მანქანადან გადმოვედით და ფეხით ვეცადეთ წასვლა. ერთ კილომეტრზე ნაკლები მანძილი გავიარეთ და მეხლებამდე ტალახში ამოვისვარეთ. როგორც იყო, პირველ კორპუსამდე მივაღწიეთ. ვხახეთ, რომ გზის კეთილმოწყობა დაეწყიათ, მაგრამ იმ დღეს არავინ მუშაობდა. მშენებარე კორპუსების სამუშაოთა მწარმოებლებისაგან შევიტყეთ, რომ ამ ცალამბჯენებს აშენებს სახლთსამშენებლო ტრესტი, ხოლო გზა გაჰყავს ინჟინშენს.

მობინადრეთა ბინები დავათვალიერეთ, განცხადებაში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. გზა გაუვალია, გაზი ჩართული არ არის, გათბობა პირველად 21 იანვარს ჩართეს. სინათლე ხშირად არა აქვთ, წყალი ოშვიათად მოდის, ბევრგან აბაზანები დადგმული და დამონტაჟებული არ არის. შენობის ირგვლივ ყველაფერი მინგრეულ-მონგრეულია.

ვესტუმრეთ სახლთსამშენებლო ტრესტის მმართველს გ. კვეჭიერს. გამოიარკვა, რომ ამ მძლავრ სამშენებლო ორგანიზაციას, რომელსაც აქვს დიდი პანელების დაქამზადებელი საწარმოები, შარშან საექსპლოატაციოდ გადაუცია ათი კორპუსი, რომელთა საერთო ფართობი 45 ათას კვადრატულ მეტრს უდრის. გეგმა კი 49 ათას კვადრატულ მეტრს თვალისწინებდა.

გეგმის შეუსრულებლობა იმით არის გამოწვეული, გვეუბნება ტრესტის მმართველი, რომ შეიცვალა ჭერის სიმაღლე, ამან გამოიწვია საწარმოში ფორმების შეცვლა, ქარხნის მთელი რეკონსტრუქცია. ახლა ეს სამუშაოები სწრაფად მიმდინარეობს. დაძლევრების შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცემა წლიურად ასი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ავაშენოთ. მთავარ ყურადღებას მშენებლობის ხარისხს ვაქცევთ, მაგრამ წუნი მთლიანად ვერ ავაცილეთ. თქვენს მიერ პირველ კორპუსში ჩამოთვლილი ნაკლოვანებები მართალია, მაგრამ მათი უმრავლესობა ჩვენ არ გვეხება.

სახლი საექსპლოატაციოდ რომ გადავეცით, ჩვენი მხრივ ყველაფერი ჩავაბარეთ, მათ შორის გათბობისა და გაზის გაყვანილობაც. მაგრამ თბილგაზმა და თბომეურნეობის სამმართველომ რატომღაც დღემდე მათი ჩართვა ვერ მოახერხეს, მიზეზებს ისინი უკეთ გეტყვიან.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. ჭაფარიძემ გათბობის ქსელის დაგვიანებით ჩართვა მშენებელ ორგანიზაციას—სახლთსამშენებლო ტრესტს დაბრალეს და გვითხრეს, ჩვენ რა ვქნათ, თბოქსელი მზად არ იყო. როგორც ვხედავთ, მშენებლები ყველაფერს ერთმანეთს აბრალებენ, მაგრამ ფაქტია, რომ 21 იანვრამდე — თითქმის ორი თვე, მობინადრეებს გაყინულ ბინებში უხდებოდათ ცხოვრება.

გაზი ახლაც ჩართული არ არის. ეს კიდევ უფრო აწუხებს მობინადრეებს. ვინც შეძლო, ძველებური ნავთქურები შეუძენია. მაგრამ ახლომახლო ნავთს არსად ყიდიან. მისი მოტანა შორი მანძილიდან უხდებათ. ამასთან დაკავშირებით თბილგაზის მთავარმა ინჟინერმა **კ. ნიკოლაიშვილმა** გვითხრა:

— რამდენიმე კორპუსი ერთად ჩავიბარეთ, ცხადია, ყველა ბინაში გაზი თავის დროზე ვერ ჩავრთეთ. ამასთან ხელს ისიც გვიშლის, რომ ზოგიერთი ბინა დაკეტილია. ასეთი შემთხვევაში გაზის გაშვება სახიფათოა. მოსალოდნელია აკარია. ამ საქმეში დახმარება უნდა გაგვიწიონ **რაიისაბჭოს** აღმასკომებმა, **საბინაო** სამმართველოებმა და სახლთსამმართველოებმა, რაგრამ ჯერჯერობით დახმარება ნაკლებია, ჩვენ შორის დავა კი — დიდი.

როგორც ჩანს, რაისაბჭოს აღმასკომებს ამ მხრივ საჭირო ზომების მიღება დასჭირდებათ. ზოგიერთი ურჩი მობინადრისა და უხეიროდ მშენებლის გაჭირვებაში მობინადრეთა დიდი ნაწილი გაჭირვებით რატომ უნდა ცხოვრობდეს?

ბევრ სხვა „სიკეთესთან“ ერთად მობინადრეებს სიბნელეშიც უხდებათ ყოფნა. როგორც სახლთსამშენებლო ტრესტის მმართველმა გ. კვეჭიერმა აღნიშნა, ეს იმის გაო, რომ თელასმა დროულად ვერ დამთავრა ტრანსფორმატორის ბუდის დამონტაჟება. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით სინათლე დროებითი ხაზით მიგვეყვანა. გათბობა რომ არ იყო, მობინადრეები რთავდნენ ელექტროქურებს. ცხადია, ელექტროგაყვანილობის კვეთი ვერ უძლებდა დიდ დატვირთვას, ხშირად ზიანდებოდა, მის აღდგენაში დრო გადიოდა, მობინადრეები კი სიბნელეში ისხდნენ. ეს ხარვეზი უკვე გამოსწორებულია. სამუშაოები ძირითადად დამთავრებულია, სინათლე მაღე მუდმივად იქნება.

ვნახოთ ეს დაპირება როგორ შესრულდება!..

მთავარი ქუჩიდან პირველ კორპუსამდე მისასვლელი გზა, რაგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველად უხეიროა, როცა ეს ინჟმშენის უფროსს კ. გოგიჩაიშვილს მოვახსენეთ, მან პირდაპირ გვითხრა:

— მართალია, გზის მშენებლობა დავაგვიანეთ, კორპუსიდან მთავარ გზამდე ნისლია ხალს უჭირს, ავტობუსი არ დადის; მაგრამ ამაში მარტო მშენებლები როდი ვცოდავთ. საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოდან პროექტები დაგვიანებით მივიღეთ. ეს იცის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმაც. მივიღეთ განკარგულება რადაც უნდა დაგვიჭიროს, პირველ თებერვლამდე გზის მშენებლობა დავამთავროთ. ვფიქრობთ დავალებას შევასრულებთ, ხელს არაფერი გვიშლის.

როგორც ხედავთ მობინადრეთა სიგნალი სამართლეს შეეფერება, გაზა შეიძლება ასეთი სეიროზული ხარვეზებით ბინა საექსპლოატაციოდ გადაეცეს?

სამწუხაროდ ასეთი ნაკლოვანებანი სხვაგანაც არის. როგორც ჩანს, ბინების მიმღები კომისია სათანადო ობიექტურობას არ იჩენს ახალი ბინების ჩაბარების დროს.

სანამ არ აღკვეთთავთ ასეთ მდგომარეობას ყოველთვის ადგილი ექნება ნაკლოვანებებს და მობინადრეთა სამართლიან უკმაყოფილებას.

ზ. ჯამასპიშვილი.

კომუნისტი
მე-2 გვერდი, ოთხშაბათი, 28 იანვარი, 1970 წ.

კულტურის მუშაკები — დიად იუბილეს

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კონფერენციაზე

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ მუშაკთა სახლში გაიმართა კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს მერვე რესპუბლიკური კონფერენცია, რომელმაც განიხილა რესპუბლიკური კომიტეტისა და მისი სარევიზიო კომისიის მოხსენებანი.

საანგარიშო პერიოდი, — აღნიშნა მომხსენებელმა ე. გოგიაშვილმა, — ოსსავსე იყო კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში მოპოვებული ახალი წარმატებებით. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით შეიქმნა ბევრი საინტერესო ნაწარმოები. კულტურულ-საგანმათლებლო დაწესებულებებში მოეწყო დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენები.

კულტურის მუშაკთა პროფორგანიზაციებმა გააუმჯობესეს ორგანიზატორული მუშაობა. რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომებსა და პლენუმებზე ხშირად განიხილავდნენ მიხაპროფკავშირული მუშაობის საუკეთესო გამოცდილების განზოგადების საკითხებს.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბიუროვნი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ახალდიანმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ეროტმა, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ანთაძემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. იაკშვილმა, სოხუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ე. ბეანიამ, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორმა დ. მშველიძემ და სხვებმა, მიღწევებთან ერთად ყურადღება გაამახვილეს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლო

ქართული დღე

ეს მოხდა 25 წლის წინათ

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა

პრაღა, 27 იანვარი. (საკდესი). გუშინ პრაღაში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. ჰუსაკის თავმჯდომარეობით გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, სხდომამ განიხილა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზის განხორციელებისათვის მზადების საკითხები, მათ შორის ორგანიზაციული საკითხები და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე 1948 წლის თებერვლის გამარჯვების იუბილეს დღესასწაულობის საკითხი. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ წელს ეს დღესასწაული განუკრელად უნდა დაუკავშირდეს საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავს და 3. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

პრეზიდიუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თებერვლის გამარჯვების წლისთავი აღინიშნება ისეთ პირობებში, როცა პარტია მტკიცედ იბრძვის საზოგადოების კოხსოლიდაციისათვის; ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზის განხორციელებისათვის. მთავარი მიმართულება ამ ბრძოლა ბოლო ორ-სამ თვეში ... ...

საქართველოს ამთა და ბარეში

დიდი ინტერესი გულგარეთისადმი

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მკითხველთა კონკურსის შედეგები

□

„რა იცით ბულგარეთის შესახებ?“. ასე ეწოდებოდა მკითხველთა კონკურსს, რომელიც ათ თვეზე მეტი ხნის წინათ გამოაცხადა რესპუბლიკურმა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“.

27 იანვარს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიმართა საღამო, რომელზეც შეჯამეს კონკურსის შედეგები, მასში მონაწილეობდა „ბალკანტურისტის“ წარმომადგენელი სსრ კავშირში ანდრია ქიანსკი და გაზეთ „ოტეჩესტვენ ფრონტის“ მოსკოველი კორესპონდენტი ლუბომირ ცვეტანოვი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა **შ. ყარყარაშვილმა.**

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა **ი. ურუშაძემ** ილაპარაკა საქართველოსა და ბულგარეთის მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე, რომელიც ჩვენს დღეებში კიდევ უფრო განმტკიცდა, საქართველოსა და ბულგარეთის კულტურულ ურთიერთობაზე, რომელიც სულ უფრო ვითარდება.

ბულგარელ მეგობრებს მხურვალედ მიესალმნენ სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშა **შ. ფირცხალავა** და უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი **ი. იაშვილი,** რომელმაც ბულგაჭულ ენაზე წარმოთქვა სიტყვა.

ჟიურის სახელით კონკურსის შედეგების შესახებ სიტყვით გამოვიდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ს. ფრიშენბერგი.**

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სარედაქციო კოლეგიამ „ბალკანტურისტთან“ ერთად **პირველი პრიზი** — ბულგარეთში ტურისტული მოგზაურობის საგზური — მიანიჭა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თანამშრომელს **მ. კობეშავიძეს. მეორე პრიზი** მიიღო ინჟინერმა **ნ. ციოლიამ, მესამე** — რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის მოლაგლინავი საამქროს მუშამ **გ. მუტოვინმა** და **მეოთხე** — სოხუმელმა ინჟინერმა, ფაშისტ დამპყრობთაგან ბულგარეთის განთავისუფლებისთვის ბრძოლების მონაწილემ **ვ. სმირნოვამ.**

გარდა ამისა **წასახალისებელი პრემიებით აღინიშნა** თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლის **გ. ხარაზშვილის** და თბილისის სახეში ჩარხების ქარხნის ელექტრომექანიკოსის **ი. დანდუროვის** ნამუშევრები.

„ბალკანტურისტის“ წარმომადგენელმა **ანდრია ყიანსკიმ** გულთბილი მადლობა გადაუხადა კონკურსის მომწყობთ, გულთითადად მიესალმა საქართველოს მშრომელებს.

კონკურსის მონაწილეთა სახელით გამოვიდა **მ. კობეშავიძე.** (საქდესი).

გმირ დედათა შეკრება

ვანი. (საკ. კორ.). ქალთა შორის მუშაობის რაიონული საბჭოს ინიციატივით ამ დღეებში მოეწყო „გმირი დედების“ რაიონული შეკრება.

შეკრებაზე მოხსენება თემაზე — „დედობა ბედნიერებაა“ — წაიკითხა ქალთა შორის მუშაობის ვანის რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ნ. საკანდელიძემ.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ გმირი დედები, რომლებმაც საინტერესო საკითხები დააყენეს ბავშვთა სწორად აღზრდის უზრუნველსაყოფად.

დიდი ლენინის იუბილეს წინ სადღესასწაულოდ ირთვება ჩვენი რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები. მხატვრულად აფორმებენ ქარხნებისა და ფაბრიკების ტერიტორიებს, იქმნება ახალი სკვერები და ყვავილნარები, ეწყობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური სტენდები, მშვენდება სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფასადები და შესასვლელები.

სურათზე: მეჩაიეთის ერთ-ერთი დიდი მეურნეობის — ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ახლად გაფორმებული შესასვლელი.

ფოტო ს. კილაძისა.

ინგირის სიპსტრენი

სსრ კავშირი — იუგოსლავია

□

ოთხი ქულის სხვაობით

მოსკოვში გრძელდება საინტერესო მატჩი ჭადრაკში სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის. ორი ტურის შემდეგ ანგარიში იყო 3:3 ექვსი გადადებული პარტიით. სწორედ ამ პარტიების შედეგებს უნდა გადაეწყვიტა ლიდერობის საკითხი. მათი დამთავრება მოხდა 26 იანვარს სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. თითქმის ყველა შეხვედრაში უპირატესობას საბჭოთა მოჭადრაკეები ინარჩუნებდნენ, და წარმატებაც მათ ხვდათ. ხუთი პარტიიდან მათ 4,5 ქულის მობოვება შეძლეს, ერთი პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

ამრიგად, ნატჩის პირველი ნახევრის შემდეგ ანგარიშია 7,5:3,5 საბჭოთა მოჭადრაკე ქალების სასარგებლოდ. გუშინ შედგა უკანასკნელისწინა მესამე ტური. უკანასკნელი ტურის შეხვედრები გაიმართება 29 იანვარს.

ბოლო ცნობა

ვეხუთე პარტიის წინ

მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ტ. პეტროსიანისა და გროსმაისტერ ლ. პოლუგაევსკის მატჩის ანგარიში ჭადრაკში ოთხი პარტიის შემდეგ გახდა 3:1 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ტ. პეტროსიანს დარჩენილი ორი პარტიიდან ნახევარი ქულა სჭირდება, ლ. პოლუგაევსკის კი ამავე წოდების მოსაპოვებლად ორივე პარტია უნდა მოიგოს, ხოლო შემდეგ წარმატებას მიაღწიოს. მეხუთე პარტია დღეს შედგება.

ფეხბურთის ამბები

სტენლი როუზი: „ფავორიტები?“

ფიფას პრეზიდენტმა სერ ს. როუზმა ამას წინათ ილაპარაკა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილე გუნდებისა და მათი შანსების შესახებ.

„მე არ მეგონა, თუ ესოდენ ძლიერი გუნდები მოიყრიდნენ თავს მესამე ჯგუფში. ამას ვამბობ არა როგორც ინგლისელი, არამედ როგორც ფიფას პრეზიდენტი. ჩემი ფავორიტები? პირველი ჯგუფიდან, ვფიქრობ, მეოთხედფინალში გავლენ მექსიკისა და სსრ კავშირის ნაკრებები, თუმცა ნოულოდნელობა არც ბელგიის წარმატება იქნება. მეორე ჯგუფში უპირატესობას ვანიჭებ ურუგვაელებსა და იტალიელებს. შეედებს გამარჯვების შედარებით მცირე შანსები აქვთ. მესამე ჯგუფში, როგორც ვთქვი, მძიმედ ლდება ფავორიტების დასახელება, ხოლო მეოთხედან მეოთხედფინალის გზა უნდა გაიკვლიონ პერუსა და ვერმახიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებმა“.

ვერავინ გადაამარბებს

გამოჩენილმა მექსიკელმა მეკარემ ანტონიო კარბახალმა დაამყარა მსოფლიოს რეკორდი: ხუთჯერ ითამაშა „ეიუელ რინეს თასს“ გთამაშობდა — 1950, 1954, 1958, 1962 და 1966 წლებში.

მართალია, უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ინგლისში მიმდინარეობდა, ის ძირითადი მეკარე არ ყოფილა (ეს პოსტი კალდერონს დაუთმო), მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც ჩაატარა ოფიციალური შეხვედრა.

ლეგენდარულმა მეკარემ ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ კიდევ მიიღო მონაწილეობა ეროვნულ რეპეპონატებში, შემდეგ კი გადაწყვიტა თავი დაენებებინა ფეხბურთისათვის.

კარბახალი მწვრთნელი გახდა, მაგრამ ამასთან ერთად განაგრძობდა მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის ხუთი წარმომადგენელი. ხუთივემ თავიანთ წოდოს კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა. მძიმე წოდაში კოსკურსგარეშე იყო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ა. მედვედი.

● გუშინ რიგასა და ელექტროსტალში დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის. ეს იქნება გენერალური რეპეტიცია ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელიც სექტემბერში შედგება.

● ჰავანაში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობენ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა, ბრაზილიისა, ალჟირისა, ეგვიპტისა, ბელგიისა, ბულგარეთის, ინდოეთის, ირანის, ესპანეთის, ბრაზილიის, ალჟირის, ეგვიპტის, ბელგიის